ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №1

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65 11.01. 2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-**გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, კობა ტოხვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი-**კობა მაღლაკელიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

სხდომა 13^{00}-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2023 წლის 11 იანვრის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: *ივანე მამფორია*

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: *გელა ჩიკვაიძე*

3. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

მომხს: *გიორგი ივანიაძე*

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *გელა ჩიკვაიძე*

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტურტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *გელა ვარდოსანიძე*

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *ვლადიმერ ჭვალაძე*

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *რამაზ არველაძე*

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *კობა ტოხვაძე*

9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *გიორგი ივანიაძე*

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *ალექსანდრე ლილუაშვილი*

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2023 წლის 11 იანვრის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-**ივანე მამფორიამ** წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

„ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N 2475 და N 2476 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ა) შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 15323,9 ათასი ლარით, გადასახდელები 16595,5 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271.6 ათასი ლარით.

ბ) შემოსულობები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია 15323,9 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 4323,9 ათას ლარს.

გ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 16595,5 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 5295,5 ათას ლარს.

დ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 16595,5 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 5295,5 ათას ლარს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 11 იანვრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-***გელა ჩიკვაიძემ*** წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2023 წლის 09 იანვრის N65-65230097 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დეკემბრის თვეში ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 (ექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარი ჯამში (6750 (ექვსიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 11 იანვრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. საბჭოს შემადგენლობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ „2022 წლის განმავლობაში გაიმართა საბჭოს 4 სხდომა. პირველივე სხდომაზე (24.02.22) დამტკიცდა 2022 წლის სამოქმედო გეგმა და არჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი. ორივე თანამდებობაზე ქალბატონია არჩეული - მოადგილედ ნატული დვალიშვილი და მდივანად ფახურიძე.

საბჭოს მეორე სხდომაზე (10.05.22) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავება და წარმოდგენა. ამ ჯგუფმა ნაყოფიერად იმუშავა და საბჭოს წარმოუდგინა სტრატეგიის პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა საბჭოს მიერ მესამე სხდომაზე (21.10.22) და დამტკიცდა საკრებულოს 2022 წლის 10 ნოემბრის N21 დადგენილებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველად იქნა გათვალისწინებული თანხა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, საბჭოს ღონისძიებების დასაფინანსებლად - 5000 (ხუთი ათასი) ლარი. წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 4542 (ოთხი ათას ხუთასორმოცდაორი) ლარი, მათ შორის: „ვანელობის" სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიების ხარჯი - 351 (სამასორმოცდათერთმეტი) ლარი, შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბენეფიციარებისათვის საჩუქრების შეძენის ხარჯი - 500 (ხუთასი) ლარი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების და ყველაზე ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედების დაჯილდოვების მიზნით სხვადასხვა ფასიანი საჩუქრების შესყიდვის ხარჯი - 3691 (სამი ათას ექვსასოთხმოცდათერთმეტი) ლარი.

ამასთან, 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა საბჭოს რეკომენდაციები სოციალური პროგრამების კუთხით. კერძოდ: „ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში" დაემატა ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირების და მათი შვილების ბინის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს ექვსი თვის ვადით. საბჭოს ინიციატივით, შემოტანილ იქნა ახალი სოციალური პროგრამა „მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საბჭოს სხდომებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გენდერულ საკითხებზე და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის საკითხების განხილვას, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობიერების ამაღლების მიზნით მოხდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების, გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ცნობიერების ამაღლება გენდერული საკითხების, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით; პანდემიის პირობებში, კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის" ორგანიზებით, საბჭოს წევრების ჩართულობით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მერის წარმომადგენლებთან და მათ ასისტენტებთან თემებზე - ადგილობრივი თვითმმართველობების როლი გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის პრევენციის და რეაგირების საქმეში; „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" გათვალისწინებული სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის მექანიზმები და სერვისები; მერის წარმომადგენლების როლი ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირების, პრევენციისა და მოქალაქეთა ინფორმირების საკითხში.

გენდერული საბჭოს წევრები, ოჯახში ძალადობის პრობლემების პრევენციის კუთხით სხვადასხვა ღონისძიებები განაზორციელეს: ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედავანისა და ზეინდარის პედაგოგებს, მოსწავლეებს და ზოგადად სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს შეხვდნენ და გენდერული საბჭოს, მუნიციპალიტეტის მერიაში ახლად შექმნილ „ბავშვთა უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილების" როლებზე ინფორმაცია გააცნეს; მოზარდების და მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აღნიშნული განყოფილებასთან და გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობას გაუსვეს ხაზი.

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის მიზნით კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის" მხარდაჭერის მეშვეობით, ცნობიერების ამაღლების მიზნით, საბჭომ დანერგა ინოვაციური პლატფორმა - ძალადობის მსხვერპლთა ციფრულ რესურსცენტრზე. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე განათავსა საიტი „ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი", რომელიც მოიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტებში ქალთა/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კუთხით არსებულ მუნიციპალურ, ცენტრალურ და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებზე.

კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის" მხარდაჭერით და კანადის თანასწორობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალებს გენდერული საბჭოს წევრებმა საჩუქრად გადასცეს მობილური ტელეფონები.

SOS აპლიკაციის მეშვეობით ძალადობის მსხვერპლებს გაუჩნდათ შესაძლებლობა ე.წ. ჩუმი განგაში გააგზავნონ 112-ის ცენტრში;

2 ივნისს „ვანელობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით საბჭოს ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით, გაიმართა ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან ერთად სამ სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილ განსაკუთრებული დამსახურების მიხედვით შერჩეულ პედაგოგებს სიმბოლური საჩუქრები და საპატიო სიგელები გადაეცათ:

5 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საბჭოს ორგანიზებით, საბჭოს წევრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად შშმ ბავშვთა დღის ცენტრს „ნათელი მომავალი“ ესტუმრნენ და ამ ცენტრის ბენეფიციარები საჩუქრებით დააჯილდოვეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე 3 დეკემბერს აღინიშნება და 1992 წელს, გაეროს მიერ დაარსდა მისი მიზანია შშმ ადამიანების უფლებების, თანასწორობის და ღირსების პატივისცემა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ყველა ადამიანის საჭიროებებზე მორგებული, თანასწორი და მდგრადი განვითარების მნიშვნელობას.

27 დეკემბერს საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით, გაიმართა მასშტაბური ღონისძიება, სადაც მოხდა 2022 წლის წარმატებული სპორტსმენებისა, სხვადასხვა სფეროში ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანებისა და ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედების გამოვლენა და დაჯილდოება. ფასიანი საჩუქრები და საპატიო სიგელები გადაეცა 27 პიროვნებას:

პანდემიის პერიოდში, მოსახლეობისადმი გაწეული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობისთვის, საპატიო ჯილდო გადაეცა ასევე *სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ვანის რაიონული სამსახურის მთლიან შემადგენლობას.*

ხაზგასმით უნდა ღინიშნოს, რომ 2022 წელს გენდერული თანასწორობის საბჭომ ნაყოფიერად იმუშავა, შესძლო მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულება, თუმცა რჩება გამოწვევები და სტრატეგიის მიზნები, რომლებიც მომდევნო წლებში ერთობლივი ძალისხმებით გადაიჭრება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 11 იანვრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა - გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2023 წელს განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი: N2)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-*გელა ვარდოსანიძემ* *წარმოადგინა* ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტურტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2023 წელს განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტურტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი: N3)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-*ვლადიმერ ჭვალაძემ* *წარმოადგინა* ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2023 წელს განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი: N4)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-**რამაზ არვლაძემ** წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2023 წელს განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი: N5)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-*კობა ტოხვაძემ* წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ის საკითხები, რომელთა განხილვას კომისია გეგმავს მიმდინარე წელს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი: N6)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-*გიორგი ივანიაძემ* წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2023 წლის პირველ კვარტალში განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეცხრე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

(დანართი: N7)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-**გიორგი ივანიაძემ** ბიურო სწევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის რიგითი სხდომის დღის წესრიგი.

(დანართი: N8)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე